ქართული აზრი
GEORGIAN OPINION

№ 73 ნიუ იორკი, აპრილი 1966 წ. GEORGIAN OPINION NEW YORK, APRIL 1966

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სამართლის ერმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.

აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.

სულ ორიოდე კვირის წინ დასრულდა საბჭოთა კომუნისტური პარტიის 23-მე ყრილობა.

თითქმის მთელი კაცობრიობის გონება და ფიქრი იმით იყო შეცყრული, თუ რა სახეს მიიღებდა საბჭოთა კომუნისტური პარტიის 23 ყრილობა, მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ ქვეყნიერებაზე ყველაზე მრავალრიცხოვანმა წითელმა ჩინეთმა უარი განაცხადა მონაწილეობის მიღებაზე და თავისი დელეგაცია არ წარგზავნა.

აგრეთვე საინტერესო იყო თვით რუსული კომუნიზმის ლიდერების მოსმენა, თუ რით გაამართლებდნენ კომუნისტურ სამყაროში ერთობის დარღვევას, ან რით ახსნიდნენ საბჭოეთში გაბატონებულ ეკონომიურ კრიზისს, ან რა როლს ითამაშებდნენ თვით ყრილობის დელეგატები ამ საკითხების გადაწყვეტაში?

23-მე ყრილობის მსვლელობის ობიექტიური ანალიზი გვაჩვენებს, რომ რუსული კომუნისტური პარტიის დემოკრატიზაცია უნუგეშოა ოენებაა. იქ ბატონობს ოთხოიოდ ლიდერი, რომელთა შორის იდუმალი, მაგრამ გამძაფრებული ბრძოლა არსებობს. თვით ყრილობის, ე. ი. პარლამანტის და პარლამენტარების როლი იგივე დარჩა, რაც ლენინმა და სტალინმა დაადგინა. რუს პარლამენტარების ერთად ერთი უფლებამოვალეობაა ერთხმად მოიწონონ და დაამტკიცონ ლიდერების მიერ წარდგენილი ანგარიშები და მომავალი მოქმედების გეგმები. რუს პარლამენტარებს ეს იმდენათა აქვთ შეგნებული, რომ, როდესაც კრემლის ახალმა ბატონმა, ბრეჟნევმა აღადგინა ხრუშჩოვის მიერ გაუქმებული პოლიტბიურო თავისი გენერალური მდივნით და ყრილობას მრისხანე ულავშას აჩრდილმა გადაუარა, არც ერთ დელეგატს არამც თუ პროტესტი არ გაუნუსხავებია, არამედ განცვიფრებაც არ გამოუთქვავს.

სტალინური მმართველობის აღდგენის გარდა, 23მე ყრილობაზე აშკარად გამოვლინდა, რომ კომუნისტურ სამყაროში ჰეგემონისათვის ბრძოლა უფრო გაძლიერდა: წითელი ჩინეთი თავისი 730 მილიონიან მოსახლეობით რუსეთს განუდგა და აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტურ პარტიებშე დამოუკიდებლობისადმი ლტოლვა უფრო გაძლიერდა.

ბუნებრივია, რომ ამ ფსიქოლოგიურ ატმოსფეროში ჩატარებული ყრილობის ანგარიში რუსულ კომუნიზმისათვის დამაღონებელი უნდა ყოფილიყო და იყო კიდეც. წითელი რუსეთის ლიდერებ შორის ბრძოლამ და უნდობლობამ თავისი გავლენა მოახდინა კომუნისტურ სამყაროზე და მათი გათიშვის და დაცემის პერიოდი დიდი ხანია რაც დაიწყო.

ამ გარემოცაში აღვილი წარმოსადგენია რუსული კომუნისტური პარტიის ყრილობა და მისი შედეგებიც.

აზიაში, არაკომუნისტურ სამყაროში ყველაზე მრავალრიცხოვანი ინდონეზიის კომუნისტური პარტია სულ ახლო წარსულში განადგურდა. უკანასკნელი ინფორმაციის მსახმად მის წევრთა დანაკლისი მილიონს აღემატება

აფრიკა...? ბევრის მთქმელია, რომ ალჟირის დელეგაციამ დასტოვა მოსკოვი და სახლში გაბრუნდა.

დასავლეთში კომუნისტების ცდა ჩაიფუშა და დომინიკოს რესპუბლიკაში ვერ გაბატონდნენ. მიუხედავათ იმისა, რომ 1959 წ. კასტრო გულმოდგინედ ცდილობს და სათანადო კადრებსაც უხვად ამზადებს, მაინც ლათინურ ამერიკაში კომუნიზმმა ფეხი ვერ მოიკიდა. სამხრეთში მარცხების შემდეგ კასტროს იმედი ბრაზილიაზე შეჩერდა, მაგრამ არც აქედან გამოვიდა „სასურველი რევოლუცია“.

თვით საბჭოთა კავშირში ხომ ხელისუფლებისათვის ბრძოლა გრძელდება და მძაფრდება. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოეთის დელეგნდელი ლიდერი, ბრეჟნევი, მკაცრი წარსულით არის ცნობილი, მან მაინც არ დააყოვნა და დასავლეთთან ნორმალური, მშვიდობიანი თანაარსებობის საჭიროება აღიარა.

ინდოეთის მშფოთარე და დაუცხრომელი მდგომარეობა იმგვარად გამოიყურება, რომ მისი გამოყენება, თითქოს ორიეულს, როგორც ჩინეთის, ისე რუსეთს შეუძლიან. რუსეთი სთავაზობს ინდყსტრიალურ ნაწარმს, ჩინეთი კი აშკარა მტრულ პოზიციაზე რჩება.

დასავლეთ ევროპაში საფრანგეთის პრეზიდენტი დე გოლი არღვევს დასავლეთის თანვდაცვის კავშირს, რომელიც 1949 წლიდან ევროპის უშიშროების ფხელი დარაჯი იყო.

ჰავანას კონფერენციაზე უპირატესობა მიანიჭეს კომუნისტური რევოლუციების წამოწყებას ვენეკუელაში, ბრაზილიაში, ბოლივია და ეკვატორში. ეკვატორის მცირეოდენ წყენა, შეიძლება იქ კომუნისტური რევოლუციის მიზეზი გახდეს, იმდენათ არის იქ გაწყეული მუშაობა და ნიადაგი მომზადებული.

მაგრამ კომუნისტური რევოლუცია, თუ რეჟიმების დამყარება, ყველაზე, მაინც ძალით, იარაღის წყალობის შედეგია და არა ხალხის უმრავლესობის ნება-სურვილის.

ლარიბი ქვეყნები: იდიო, როგორც ინდოეთი და პატარა, როგორც ეგვიპტემ, გამოარკვიეს, რომ კომუნიზმს ცოტა რამ აქვს მათი მშიერი მოსახლეობის დასაკმაყოფილებად. კომუნიზმმა ლიდერებმა სოფლის მეურნეობაში იმგვარი შეცდომები დაუშვეს, რომ მათ არამც თუ არ შეუძლიანთ სხვებს შესთავაზონ სურსათ-სანოვაგე, არამედ იძულებულნი არიან თვით შეიტანონ დასავლეთიდან საკუთარი ხალხის გამოსაკვებად.

დასავლეთ ევროპაში და იაპონიაში, ძლიერმა ინდუსტრიალიზაციამ ისე აამაღლა ცხოვრების დონე, რომ აქ სრულიად მოსპობილია კომუნისტური რევოლუციების შესაძლებლობა.

განსაკუთრებით ევროპაშია ტანდენცია, რომ კომუნიზმი ყაჯლგასული, მკვდრად მოიბილი ქმნილებაა...

თვით რუსეთში საბჭოთა კომუნისტური პარტიის ლიდერები, მოსკოვის ყრილობის მაპაინძლები, უფრო შეცუნნი იყვნენ შინაური პრობლემებით, ვიდრე საერთაშორისო რევოლუციებით. მათი მთავარი საზრუნავი იყო ეკონომიური საკითხები. საბჭოთა ლიდერებისათვის ყველაზე მძიმე გადასაწყვეტი არის, თუ როგორც გაანაწილოს თავისი სანოვაგის მცირე მარაგი მოსახლეობასა და ჯარს შორის და რადგან ორივეს ვერ აკმაყოფილებს, რომელს მისცეს უპირატესობა?

შემდეგი რუული პრობლემა, რომელიც საბჭოთა ლიდერებმა უნდა გადაწყვეტონ, ის არის, თუ რამდენად შორს უნდა წავიდნენ, რათა მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა მიიღონ, რომელიც უაღრესად ესაჭიროება მათ ჩამორჩენილ მეურნეობას; როგორ აიღონ მისი ინდუსტიროება გავრცელების ინიციატივა, რომ წარმოების და მოსახლეობის კონტროლი პარტიას ხელიდან არ გაუსხლტეს.

თვით 23-მე ყრილობის რეზოლუციები და დადგენილებები სავსეა კომპრომისებით და მარტო იმის ცდა გამოსჭვივის, რათა, როგორმე თავიდან აიშორონ ახალი გართულებები შინ და გარეთ და კომუნისტური სამყაროს ერთიანობა მოჩვენებითად მაინც დაიცვან. ამის გამო რუსული კომუნიზმის ლიდერები ნაკლებად ქედმაღლობდნენ და იმუქრებოდნენ. ამ შემთხვევაში აღარ იყო ჩვეულებრივი მუქარა: დასავლეთის კაპიტალიზმის დასამარების და მსოფლიო რევოლუციის „ისტორიული“ გარდაუვლობა. ამ გვარად მათ ვერ მიესცეს კომუნიზმს ბრძოლის ახალი მიზანი და დანიშნულება და რუსული კომუნიზმის ლიდერებს შინა ეკონომიური კრიზისები უფრო აწვალებდათ, ვიდრე მსოფლიო რევოლუციის ბედი. ამგვარად, 23-მე ყრილობაზე წარმოგვიდგა ეკონომიურად გაკოტრებული და ორგანიზაციულად დანგრეული „მსოფლიო“ კომუნიზმი.

საბჭოეთის მრავალმა სპეციალისტმა აღიარა კომუნიზმის ფრანგი ექსპერტის აზრი, რომ რუსეთში კომუნიზმი მოსპობის გზაზეა და 1970 წლისათვის ის სრულიად აღმოფხვრილი იქნებაო.

გ. ზალდასტანიშვილი

სასიამოვნო ცნობა.

„გაერთიანებული კავკასიის“ ორგანიზაციის შესაქმნელად ენერგიულ მუშაობას აწარმებს საინიციატივო ჯგუფი ბ-ნ ა. ჩხენკელის მეთაურობით. საინიციატივო ჯგუფს გაუწიხავს კავკასიის ოთხმა ერმა ერთად იდღესასწაულოს დამოუკიდებლობის დღე.

3 აუსტვებთ წარმატებას.

„ქართული აზრის“ რედაქცია

„ღმერთო, ღმერთო, გეაჯები...“

—რუსთაველს სწამდა სიყვარულის ღმერთი და „ტკბილნი მისნი წყალობანი“, ის ეუბნება ღმერთს: „შენ დაბადე მიჯნურობა და აწესებ მისსა წესსა“ და სწორედ ამ წესებს არის მიძღვნილი მთელი „ვეფხისტყაოსანი“.

შოთას ხორცეული ტრფობის საგანი, თუ საზოგადოთ ასეთი იყო, უფრო თქმულებებს ეკუთვნის. თუმცა დედოფლის „შესხმა ხმტბისა“ იყო მიღებულ წესად. მაგრამ რაც „ვეფხვისტყაოსანში“ ნათქვამია, და ზოგისთვის ჩანართად არის მიჩნეული, გრძნობით არ აღემატება გრიგოლ ორბელიანის მუხლ მდრეკელ ვედრებას თამარ დედოფლის სურათის წინაშე. გრიგოლი მხოლოდ უმზერდა თამარის სურათს და მისი პოეტიკური ოცნება სიმწარით არის აღვსილი აწმყოზე; რუსთაველი კი ცხოვრობდა ნამდვილად არსებულ სახელმწიფო წყობაში და „ზედი-ზედ“ „პირის პირსა უპკრეტდა სავსესა ლხინითა დიდითა“, „ოოცხალ, „ბრეგნებით სავსეს“, დედოფლის მონარნარე სახეს. ამის წარმოდგენაზე ერუანტელი გაგრიბენს ტანში.

გრ. რობაქიძეს სიმბოლიზმი რომ ვიხმაროთ, ვერ „ყარდუ“ ჩაითვლება შოთას მიჯნურობის საგნად, თორემ ეს იქნებოდა თავმოყვარეობა, რაც „ვეფხისტყაოსანს“ წესით უნდა იქცეს ქაჯეთის ამბავად.

საბა-სულხანის ‘არსის“ „მყოფადად“ ქცევა რომ დავიჯეროთ და გავეყვეთ ანტონ კათალიკოზის „სპეკლამბას“, მაშინ შეგვეძლიან ვიწამოთ, რომ, იოანე პეტრიწუის დაგვარად, კარდუმ შემოისხა სხეული და შოთა რუსთაველის სახით ჩამობრძანდა მისთვის შესაფერ მაღალი აღმოფრენის საზოგადოებაში. ილია ჭავჭავაძეს უკვე სულ სხვა წრე დახვდა და მას მოოლოდ მყინვარიდან აღმდგარ „აჩრდილის“ ნახვა და მასთან სუბარი ეღირსა. ი. გრიშაშვილი გვეუბნება, როცა ის ხედავდა შოთას ლანდს, „ის დამყურებდა როგორც მყინვარი და ჩემი ქვეყნის აღორძინება“-ო.

დიაღ. ი. გრიშაშვილს, თუმაც, ხშირად უნახავს რუსთაველის ლანდი და სწორედ იმ წრეგნთსაცავში, რომელიც მან მას შემდეგ ააყო, რაც „შესცვალა გზები“ და ქართველ ბავშვებს რუსულს ასწავლიდა... ეს „ღალატი“ რუსთაველის ღმერთმა ალბად კარგად უწყის, რადგანაც ეოეტი მაინც გვარწმუნებს, როცა ლაპარაკობს შოთაზე:

„მე იმის სახეს გულში ვატარებ,
მე იმის სიტყვებს ეხლაც ტყვედ ვყევარ,
თამარ დედოფლის თითებს ვადარებ,
სტრიქონში შემბოლ რითმების ყევარს“.

ქართული ენა ვერ ჩაითვლება რუსთაველის ხვაშიადად, რადგან ამ სიყვარულს ის ყოველ ტაეპში ამყოვნებს, როცა „კრძალვით და რიდით“ მარგალიტებს აწყობს ადამიანის განცდის დასაპყრობად. რუსთაველის შემდეგ, ეფუქრობთ, არავინ ასე „მარჯვედ არ სცემდა ჩობანს“ და არავის კალმის ქვეშ ქართული ოსტატურად გასიმებული, ამოდენა სიძლიერით არ მუსიკობდა.

ნ. ციცერეველი „შვიდი მთიები“ რომ დავტოვოთ განზე, სადაც მთელი შესავალი მიძღვნილია ‘ვეფხისტყაოსანს“ და სადაც შოთა საერთოდ ბატონობს, ვეფხისტყაოსანს ჩანართად დანართები და უფრო ხალხსნსური „თამარიანები“ კი ვახსენთო, კაზბეური სიტყვიერების ყველაზე დიდი გავლენა რუსთაველმა აკაკი წერეთელზე იქონია, გაადვილებული შარიობის გარდა, აკაკის მეეტი „პარაფრაზები“ აქვს ნასესხები „ვეფხისტყაოსნიდან“ და შოთასეული ინიდოობა და „კაცობა“ აქვს ჩასმული ისტორიულ ჩარჩოებში.

აკაკიმაც ნახა სიზმრად. შოთასთან დაკავშირებით, ქალთა კრება, მაგრამ არსებითად მაგას, ილიასმებრ, სძულს „სულ ძალი, ძალი“, და ფხიზელი ის უთითებს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს სილაჩრეს და ლაჩრობას; აკაკი ეუფარავად ამხელს შემოპარულ მგელ, ტურა, მელას და ღამურებს და შეეწყვეტლ სცემს „ბუკსა და ნაღარას“ თანდაყოლილი წყეულითა:

„კრული იყოს მისი სახელი
ვინც მთასა შესაცლის ბარზედა“.

რუსეთის მოხელეთა საქართველო, 30 წლის მანძილზე, მეორედ დღესასწაულობს შოთა რუსთაველს.

ამ მანძილის უკუნი განათებულია ჯოჯოხეთური ალით, რათა დაგვანახოს ჯერ არ დაშშრალი სისხლის ზღვა, წმენდის და ომის ნამგალი, ბოროტმოქმედების ტყვია და სასოწარკვეთილებით აღბეჭდილი სახეები.

ამ მანძილის მეორე ნახევარი ითელვება რუსეთის იმპერიის სსრ ფედერაციების ხანად და პოლიტიკურ-კოლონიალურ რეჟიმს უნდა მიეცეს ეხლა უფრო „მეცნიერული“, გარეგნულად რბილი პოლიციის მეთოდები. ე. ი. თითქოს არსებობს რუსთაველი „ქართული“ ფოლადი, ადგილობრივად და ხალხის დასტურით, ჯაჭვების და ბორკილების გამოსაკედად.

ერის ქმაყოფილების საჩვენებლად, საქართველოს „სცვივა“ ლენინის ორდენები და რუსთაველის დღესასწაულს ეძლევა ერის ბედნიერების გამომეტყველება, უცხო სტუმრების უხვი დაპატიჟები, „ჩვენისთანა ბედნიერი ვანა არის სადმე ერი“?! იტყოდა ილია. ყურ მოჭრილი ქართველი მოხელეები, ბატიოსანი ხალხის გამოყენებით, ცხელ-ობენ დაამტკიცონ რუსთაველის სახელით, რუსეთს და უცხოეთს, რომ საქართველოს ბედი სამუდამოდ გადაწყდა და ქართველ ერს ნელი გადაგვარებით მონობასთან შეგუება ღა დარჩა.

თვით ამ დიდებულ მოხელეებს, მათი ზნეობრივი დონის მიხედვით ნაკლებ უნდა ესმოდეთ „ვსფხისტყაოსანის“, მაგრამ „სპეკები“ ხომ არიან მთა განკარგულებაში!

ბევრ „სპეკს“ და პატიოსან ხალხს გულწრფელად უნდათ რუსთაველის წლისთავის გამოყენება, არა მარტო მტრის სასარგებლოდ, არამედ „ვეფხისტყაოსანის“ ზნეობის ქართველ ერში ისე ჩასანერგად და გასაკოცებლად. ამ ხალხს სჯერა, რომ ქართველ მოხელეებში საკმაოდ ურევია ოთარ ბეგებიც. ეს ჩვენ არ ვიცით. მაგრამ ვიცით და გვჯერა, რომ მიუხედავად მხეცური მოპყრობის, ღვთის წყალობით, საქართველოში ბევრნი არიან სულით მტკიცენნი და წმინდანნი. მათ ჩვენ არ ვეტყვით იმას, რაც ავთანდილმა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ტარიელს უთხრა:

„ბრძენი ხარ და გამოკვლევა შენ არ იცი
ბრძნულთა თქმულებ,
ნიადაგ სტირ და მხეცთა ახლებ, რა წადილსა
აისრულებ“.

არ ვეტყვით, მაგრამ ავთანდილისავით მეტს განძარეკავს, მეტს გამბედაობას მოვთხოვდით დღევანდელ პოლიტიკურად ხალსაყრელ პირობებში.

გაბედულობაზე გვეუბნენიან: „ჩვენ ფინლანდელები ხომ არა ვართ, არც პოლონელები, რუმინელები, ან ალბანელებიო“. კარგია, რომ უმრავლეს შემთხვევაში გეოგრაფიას აბრალებენ და არა შოთას წინაპართ, რომ ცხოვრობდნენ საქართველოს მშვენიერ მიდამოებში: გეოგრაფიაზე კი, რა მოითხოვება „განათლებული“ ხალხისაგან იმ ქვეყანაში, სადაც ვახუშტის სახელობის ინსტიტუტს, გაოგრაფიის და ისტორიის ნაცვლად. შესწავლის საგნად აქვს მეტეოროლოგია. არ ვიცით თუ ამ ინსტიტუტში დროზე მაინც შეუძლიანთ გამოიანგარიშონ, თუ როდის განრისხდება ცა, როდის მოხდება მიწის ძვრა და რომელი ღრუბელი რა ქუხილს და ქარიშხალს მოგვიტანს.

რუსეთის იმპერიის ისტორიას აქვს ორი დამახასიათებელი და დაპირისპირებული თვისება, ეს არის, ან სტენკა რაზინი და ლენინის მეზღვაურთა მოქმედება, ან სასახლის გადატარალება. თუ ზოგს არ უნდა ახსოვდეს ის რაც ჩვენში ათიოდე წლის წინად ხდებოდა, დავიწყებული ხომ არ ექნებად ზარშაზნრნდელი ამბავი, თუ როგორ კანკალობდნენ მოხელეენი თუ სხვები, როცა საქართველოში ხმა გავრცელდა, ხომ ბრუშროვი ჯარით და პოლიციით გარსშემორტყმულიაო. მართალია, ყურ მოჭრილ მოხელეებს რა ენაღლებათ ხვალ ვინ იქნება კრემლში, ოღონდ ლუკმა ჩავარდეს ჯაშში და მორჩილებით, ერთმანეთის დაბეზღებით, ახალ პატრონთან ისევ დადგებიან რიგში, ახალი განკარგულების მისაღებად. ახალი სიმრუდის და ბოროტმოქმედების ჩასადენად საქართველოში.

რუსეთის იმპერიის ამგვარი წესები, რასაკვირველია, არც რუს ხალხს ანიჭებს თავისუფლებას და ბედნიერებს. მაგრამ ჩვენთვის ეს რეჟიმი ნიშნავს სრულ დახრჩობას და ქართველი ხალხის რიცხობრივად მოსპობას.

გვეუბნებიან: რაღაცა მაინც კეთდება საქართველოშიო. აბა, რასაკვირველია, გარდა აშკარა სიმრუდის და ბოროტმოქმედების, მცირე რამ, თითქოს ნაკლებ საჩინო მაინც კეთდება. დაბნელება ხომ წესია სასტიკი ოსსკურანტიზმის, რეჟიმების, დემოგრაფიული კანონით ქართველი ერი 40 წლის განმავლობაში უნდა

26 მაისის საქართველო და გერმანია.

(გაგრძელება. იხ. „ქართული აზრი“ №72)

ქართული სტუმართ-მოყვარეობა.

ივნისის 26-ს, ქართული კლუბის ბაღში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ საგანგებო ბანკეტი გაუმართა ახლად ჩამოსულ გერმანიის, ავსტრო-უნგრეთის, ბულგარეთის და ოსმალეთის დელეგაციას. ბანკეტს დაესწრო საქართველოს მთავრობა მთელი შემადგენლობით, ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმი, ფრაქციათა წარმომადგენელები და სამხედრო პირები. დელეგაციას მეთაურობდა გენერალი კრეს ფონ კრესენშტაინი. ვახშმის ბოლოს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ ფრანგულ ენაზე შემდეგი სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას: რუსეთის რევოლუციის მსვლელობამ და საერთაშორისო პირობებმა საქართველო მიიყვანა დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე... რუსეთმა თვით მიგვატოვა და ამით ჩვენს შორის შეწყდა ურთიერთობა. დღეს ქართველი ერი მოსურნეა მტკიცე კავშირი შეკრას გერმანიასთან და მათ მოკავშირეებთან“.

საპასუხო სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, ფრანგულ ენაზე, გენერალ ფონ კრესმა: „ჩვენ, გერმანელები ჩვენი წარსული ცხოვრებით ვგვავართ ქართველ ხალხს. საშუალო საუკუნოებში გერმანია დაყოფილი იყო ისე, როგორც ქართველი ერი, მაგრამ ჩვენ შევძელით ძლიერი სახელმწიფოს შექმნა. საქართველოსაც ჰქონდა ოქროს ხანა—თამარის დროს...ჩვენ მოველით თქვენს ქვეყანაში, როგორც მეგობრები და დავიცავთ თქვენს ტერიტორიას, შეგქმნით ისეთ პირობებს, რომელიც ძლიერ ჰყოფს ქართველ ერს. მე უსურვებ ქართველ ხალხს ოქროს ხანის განმეორებას. გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკას“.

გენერალ ფონ კრესის სიტყვას დამსწრე საზოგადოება „ვაშას“ ძახილით შეხვდა.

მოკლე სიტყვით მიმართა ქართველებს გერმანელმა ლიტერატორმა არტურ ლეისტმა: „ქართველებო! ამდენ ხანს თქვენ მხოლოდ ერთი გერმანელი მეგობარი ყავდათ ჩემის სახით; ეხლა კი მთელი გერმანია თქვენი მეგობარია. გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს“.

მხურვალე სიტყვით მიმართა საზოგადოებას ქართულ ერიანულ საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგმა ო. ბარათაშვილმა: „დღეს შესრულდა სწორედ ერთი თვე, რაც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, განთავისუფლდა ქართველი ერი. ისტორიულ ჩარხის ბრუნვამ ჩვენ დაგვაახლოვა გერმანიას და ჩვენც მთელის ჩვენის არსებით ვეცდებით მეგობრული დამოკიდებულება განვამტკიცოთ გერმანელებთან და მათ მოკავშირეებთან. ქართველი ერი ყოველთვის გმირულად და ბრწყინვალედ ასრულებდა თავის ისტორიას და ამ შემთხვევაშიაც იგი პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას... ერთად დაღვრილი სისხლი ბორჩალოს ბრძოლაში კიდევ უფრო განამტკიცებს გერმანელებისა და ქართველების მეგობრობას...“ (იხ. „სახალხო საქმე“ 1918 წლის ივნისის 28-ის №267. ვბეჭდავთ შემოკლებით).

გერმანული სამხედრო მისიის მოღვაწეობა საქართველოში მრავალნაირი იყო. გარდა ამისა, რომ მისი მეთხებით შეჩერდა თურქული ჯარების წინსვლა, რომ განდევნილ იქმნა თურქული სამხედრო ნაწილება ბორჩალოდან, რომ თურქებმა დაცალეს ახალციხე და მისი მხარე და სხ. გერმანელმა მისიამ ქართული ეროვნული რეგულარული ჯარის ორგანიზაციის საქმეში დიდი ჩრდილი და დახმარება გაუწია საქართველოს მთავრობას. საქართველოს მთავრობამაც სათანადოთ დააფასა გერმანული მისიის ღვაწლი და მისი წევრები რესპუბლიკის უმაღლესი ქართული ნიშნით, „თამარის ორდენით“ დაჯილდოვა.

„ქართველთა მეფე თამარი (1185-1214) ქართველისათვის ნახევარმითიურ სახეს წარმოადგენს. თამარის მეფობის ხანა საქართველოს ბრწყინვალების ხანა იყო. 1918 წელს კავკასიაში მომუშავე გერმანელები ლუდენდორფი, გენერალი კრეს ფონ კრესენშტაინი და სხვები, საქართველოს მთავრობამ „თამარ-ორდენით დაჯილდოდა“. (იხ. ჰერბერტ ფოლკ: ო

ლ უნდ მოჰპიდ. ბრესლაუ, 1937, გვ. 96)

საქართველოს საკითხი გერმანიის რაიხსტაგში.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის—ფონ კიულმანის სიტყვას საქართველოს შესახებ რაიხსტაგში, ვთარგმნეთ შემოკლებით:

„მეფის მთავრობის მოსპობამ კავკასიაში წარმოშვა მთელი რიგი პრობლემებისა. საქართველო, რომელიც იქ ყველაზე მეტად მტკიცე სახელმწიფოს წარმოადგენს, რუსეთის ბატონობის გაქრობის შემდეგ, იმ თავითვე ცდილობდა თავისი ნაციონალური ცხოვრება ხელახლა მოეწყო და დამოუკიდებლად განეკუთარებინა... ოსმალეთის ჯარების მარცხენა ფრთამ გადაამტვრა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მიერ შემოხაზული საზღვრებს და საკმაოდ ღრმად შეიჭრა ისეთ ტერიტორიაში, რომლის ხანგრძლივი ოპერაცია, ან ინკუნია, ოსმალეთის მიერ, ბრესტლიტოვსკის ზავის მიხედვით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაშვებულ იქმნას. მაგრამ, როგორც ოსმალეთის ჯარების უმაღლესი სარდლობა იჩვენებს, ეს მხოლოდ სტრატეგიული მიზნად მოხდა. გერმანიისა და ოსმალეთის სამხედრო სარდლობამ ყოველმხრივ გამოარკვია ეს საკითხი. ოსმალეთის ჯარის წინსვლა კავკასიაში, როგორც გვატყობინებენ, შეჩერებულია და კავკასიის სამეების მოწვსერიგება კონსტანტინოპოლის კონფერენციაზე მოხდება.

საქართველოს სახელმწიფომ, რომელთანაც ჩვენ მეგობრული ურთიერთობა გავაბით და რომლის არსებობაც დიპლომატიური ნოტების გაცვლა-გამოცვლით დე-ფაქტო ვცანით, ბერლინში თავისი საგარეო საქმეთა მინისტრი წარმოგზავნა. ამ უკანასკნელთან ეხლა მეგობრული აზრთა გაცვლა-გამოცვლა გვაქვს. ჩვენ, ჩვენის მხრივ, ტფილისში დიპლომატიური მისიით გენერალი კრეს ფონ კრესენშტაინი გავგზავნეთ, რათა ერთი მხრით თვით საქართველოსა და მეორე მხრივ კავკასიის ბალართულ პირობების შესახებ ნათელი წარმოდგენა შეგვედგინა. ჩვენ ვუსურვებთ საქართველოს სახელმწიფოს, მის მამაც ხალხს და მდიდარ ქვეყანას ბრწყინვალე მომავალს (ცხარე ვაშას ძახილი) და სიხარულით ვეცდებით რამდენათაც ძალა შეგვწევს, საქართველოსა და გერმანიას შორის მეგობრული ურთიერთობა განვამტკიცოთ“. (ბრავო, აპლოდისმენტი). (იხ. „დერ რაიხსბოტე“ №314, ბერლინი, 25 ივნისი 1918 წ.)

გერმანელი სოციალისტების გამოხმაურება კიულმანის სიტყვაზე.

რაიხსტაგში ჰააზემ (დამოუკიდებელი სოციალისტი) თავის სიტყვაში სთქვა: „გუშინ სტატს-სეკრეტარმა განაცხადა სახავო ხელშეკრულებით ოსმალეთს უნდა დაუბრუნდეს 1782 წელს ჩამორთმეული ადგილნბია. ეს კატეგორიულად უნდა იქმნას უარყოფილი. სახავო ხელშეკრულებაში ნათქვამ არის ნათქვამი, რომ ამ ოლქების მცხოვრებთ უფლება ენიჭებათ თვითონ გადაჭრან თავისი სახელმწიფოებრივი ვითარების საკითხი, მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით ოსმალეთთან. ამიტომ ოსმალეთის შეუძრა ყარსის, ბათუმისა და არტაანის ოლქებში უკანონოა. ოსმალებმა არა თუ უნდა შეაჩერონ წინსვლა კავკასიაში, არამედ სრულებით უნდა დასტოვონ კავკასია“. (იხ. გაზ. „სახალხო საქმე“№ 282, 1918 წ. 16-7.)

არ იქნებოდა ინტერეს მოკლებული, ამ ნაწილეეში მოგვეყვანა არა გერმანული გაზეთების: „ნოვოე სლოვოს“, „ნოვაია ვედომასტის“ და „კიევსკაია მისლის“ აზრი კიულმანის სიტყვის შესახებ, იმდენთა, რამდენათაც ის გერმანია-საქართველს ურთიერთობის საკითხს ეხება. ეს ცნობები შემოკლებით ჩვენ ამოვიღეთ გაზეთი „სახალხო საქმის“ 1918 წ. ივლისის ნომრიდან. „ნოვოე სლოვოს“, „ნოვაია ვედომოსტის“ და „კიევსკაია მისლს“ მოჰყავთ ბერლინის გაზეთების გამოხმაურება კიულმანის სიტყვაზე პოლიტიკურ მომენტის შესახებ. არჩევენ რა კიულმანის სიტყვას საქართველოსა, სომხეთისა და სათათრეთზე (იგულისხმება აზერბაიჯანი) ზოგიერთი გერმანული გაზეთი ხაზს უსვამს, რომ მომავალი სტამბოლის კონფერენცია ბალკანეთისა, შავ ზღვაზე და კავკასიაში წონასწორობის დასაცავად უსათუოდ შესცვლის ბათომის საზავო ხელშეკრულებას.

იმ პროვინციებს, ეხლა ოსმალოს ხელში რომ გადავიდნენ, მათ შორის ბათომსაც არ უნდა ვთვლიდეთ ოსმალეთის სამეფდამო სამფლობელოთათ.

გაზეთები განსაკუთრებით ყურადღებას აქცევენ კიულმანის განცხადებას გერმანია-საქართველოს ურთიერთობის შესახებ და იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ ეს ურთიერთობა შეიგეგია იმ პოზიციისა, რომელიც საქართველომ რუსეთის რევოლუციის მიმართ დაიჭირა. საქართველოს დიდ სამსახურად უთვლიან, რომ მან აქტიურად უკუუგდო რუსეთის სხვა განაპირა ქვეყნებში გამძლავრებული ბოლშევიზმი და რომ მან შესძლო ამ საერთო ქაოსში არა მარტო გამაგრება, არამედ სახელმწიფოებრივად შეკავშირება-ჩამოყალიბებაც. გაზეთები ამაში ხედავენ საქართველოს სახელმწიფოებრივ განვითარების უნარსა და ბუნებრივათაც მიაჩნიან ნორჩი სახელმწიფოს უფლება გერმანიისაგან მხარგამაგრებისა კავკასიაში მისი საქართველოს დამკვიდრებისა და გავრცელების საქმეში“.

სანტერესოა ის ადგილი, როცა გერმანიის იმპერიის სახელმწიფო მდივანი კიულმანი ეხება ოსმალეთთან ურთიერთობას. როგორც სჩანს საქართველოს საკითხი გერმანიასა და ოსმალეთ სხვადასხვანირად ესმით. მართალია ამ ორ სახელმწიფოთა შორის განხეთქილებაზე ლააპრაკი ზედმეტია; ეს მით უფრო მათთვის არც სასარგებლოა ომის მსვლელობის დროს, მაგრამ ერთსულოვნობას არა აქვს ადგილი. როგორც სჩანს ოსმალეთის მოქმედებით ერთგვარად შელახულია გერმანიის ინტერესები.

მართალი იყო ამ საკითხში პაულ რორბახი, რომელმაც ბერლინში 1918 წლის სექტემბერში გერმანია-საქართველოს საზოგადოების კრებაზე უკმაყოფილება გამოთქვა იმაზე, რომ გერმანიის მთავრობა ოსმალეთის დესპოტიზმს მშვენიერ საქართველოს საჯიჯგნად აძლევს და მის დამოუკიდებლობის ნიადაგზე ამ თავდადეგე გაბედულ ნაბიჯს არ დგამსო.

სახელმწიფო გერბი და დროშა.

დამოუკიდებლობა გამოცხადებულია. დრო გადის და სახელმწიფოს თავისი სახელმწიფოებრივი ემბლემა და დროშა არ გაარჩია. ხომ უნდა წარსდგეს სახელმწიფო უცხოელთა წინაშე საკუთარი სახითა და ფორმით. ეს სახე და ეს ფორმა სახელმწიფო ემბლემაშია, მის ეროვნულ ფერებშია მოცემული.

ასე ადვილად არ მომხდარა მისი დადგენა. აქაც დიდი მუშაობა იყო საჭირო.

1918 წლის ივნისის 27-ს მთავრობამ დაადგინა მიენდოს მეცნიერებსა და ისტორიკოსებს შეიმუშაონ სახელმწიფო გერბი. ეს საკითხი დღის წესრიგში იყო ეროვნულ საბჭოს სხდომაზე 1918 წლის სექტემბრის 17-ს. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა კოტე მაყაშვილმა. მან ასეთ ფორმებში ჩამოაყალიბა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გერბი: „მოწვეული იქნენ მცოდნე პირები, გაიმართა აზრთა გაცვლა და გადაწყდა საქართველოს ემბლემად იქნეს თეორი გიორგი შვიდი მნათობით. ამ აზრის მთავრობის ზოგი წევრი არ დაეთანხმა, ფრაქციებიდან სხვადასხვა წინადადებები შემოვიდა და მოითხოვეს და გადაწყვეტეს საქართველოს გერბად გამოცხადებულიყო ამირანი... მე მომხრე ვარ თეორი გიორგისა, რადგან იგი ხალხის ფსიქოლოგიურ მოწრაფებას გამოხატავს და მისი ფაბულაც არ ეკუთვნის ქრისტეს ეპოქას... მრავალი თქმულება არსებობს თეორ გიორგზე და თვით ევროპიელ ენებზე საქართველოს სახელიც ამ გიორგისთან არის დაკავშირებული. მაგალითად: „გიორგიენ“, „ჟორეიენ“, „გიორგიშ“ და სხ. მე მიყვარს ამირანი, როგორც პოეტური მითი, მაგრამ იგი სახელმწიფოს გერბად არ არის მისაღები“.

ამ საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია ეროვნულ საბჭოში.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ფრაქცია სავსებით და მთლიანად იწონებს კოტე მაყაშვილის პროეკტს სახელმწიფოს გერბად თეთრი გიორგის აღიარების შესახებ.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით, ორაკელი წერეთელს შემოაკვეს წინადადება სახელმწიფოს გერბად აღიარებულ იქნას განთავისუფლებული ამირანი. ირაკლი წერეთელს ეს ემბლემა მიაჩნია დროის შესაფერ ემბლემად, დემოკრატიის სიმბოლოდ.

სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ფრაქციის სახელით აკაკი პაპავა მხარს უჭერს კოტე მაყაშვილის წინადადებას თეთრი გიორგის მიღების შესახებ და ამბობს: „თავიდანვე, როცა ეს საკითხი დაისვა ჩვენს ფრაქციაში გადაწყდა თავისუფალი ხმის მიცემა. ირაკლი წერეთელს ამირანი მიაჩნია შესაფერად, რადგან ეს ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას გამოხატავსო, მაგრამ ასეთი მდგომარეობა ხომ წარმავალია. საჭიროა მიეცოთ ისეთი გერბი, რომელიც მარადიულ ემბლემას გამოხატავს. თეთრი გიორგი ხალხის შემეცნებაში საკეთილსა და სინათლის ბრძოლაა ბოროტებასთან და ეს მარადული მისწრაფებაა ჩვენი ერისა. ამიტომ ჩვენ მხარს ვუჭერთ თეთრ გიორგის შვიდის მნათობითა როგორც მარადიულ იდეას“. (იხ. გაზ. „სახალხო საქმე“ №334, 19.9.1918 წ.)

(ცნობები ამოღებულია შემოკლებით)

სანამ ეს საკითხი ეროვნულ საბჭოში გადმოვიდოდა დასამტკიცებლად, დიდი დავა ატეხა თვით სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. ამის შესახებ ია რას ამბობს ნოე ჟორდანია: „სოც. დემ. ფრაქციაში პირველი დიდი დავა აგვიტყდა რესპუბლიკის ემბლემის შესახებ. ირ. წერეთელმა წამოაყენა მიჯაჭვული პრომეთეს ნაციონალურ ემბლემად გამოცხადება; მე ეს არ მომეწონა, შევდეგე. მთავარი ჩემი არგუმენტი ის იყო, რომ ტყვე, შებოჭილი პრომეთეი სრულიად არ შეესაბამება აშობილ, განთავისუფლებულ ქართველ ერს. მე წამოვაყენე ამ აზრის გამომხატველი თეთრი გიორგი, ცხენზე კოტტად შემჯდარი და ცის სიორაკეში თავისუფლად მარად მფრინავი. ბევრი კამათის შემდეგ გავიდა ეს წინადადება“ (გვ. 22).

ეროვნული საბჭოს მიერ საქართველოს სახელმწიფო გერბად მიღებულია ერთხმად თეთრი გიორგი შვიდ მნათობში მონავარდე.

1918 წლის სექტემბრის 10-ს, ეროვნულ საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა რესპუბლიკის დროშის საკითხი. ამ საკითხზე სიტყვით გამოდის კოტე მაყაშვილი. ეი მისი დებულება: „საქართველოს უძველეს დროიდანვე ჰქონდა დროშები, რომელთა აღწერაც არსებობს: არაბული, ლათინური, ბერძნული და სხვა ენებზე. მეცამეტე საუკუნის დროშა აღწერილი აქვს ერთ პოლონელ მოგზაურს—კოტეიჩს. საქართველოს დროშა უმთავრესად ორი ხასიათისა ყოფილა. სეფე-დროშა და მთავარსარდლის დროშა. როგორც შოთა რუსთაველსაც აქვს მოხსენებული, ყოფილა კიდევ შავი დროშაც. ამ რიგად ჩვენ ეროვნულ ემბლემის გამოსახატავად უმთავრესად სამი ფერი ყოფილა: წითელი (შინდის ფერი), თეთრი და შავი“. (იხ. „სახალხო საქმე“ 10.9. 1918 წ)

★

საქართველოს სახელმწიფოს ცნობა.

პირველად გერმანიის საიმპერატორო მთავრობამ მიერ საქართველოს სახელმწიფო ცნობალი იყო დე-ფაქტო (ფაქტიურად) 1918 წ. ივნისის 24-ს. (დრ. ი. ერპრობნი: კაუკასიენ, ბერლინი, 1942, გვ 51). ოსმალეთის მიერ ივნისის სამს 1918 წ. არგენტინის მიერ—13.9. 1919; გერმანიის მიერ ოფრიდიულად—24.9 1920; ბელგიის მიერ—27.8.1920; 1921 წლის იანვრის 27-ს საქართველო ცნობილი იყო პარიზის საზავო კონფერენციის მიერ იურიდიულად (დე-იურე) (იხ. ატლანტის: №10, 1961, ფრაიბურგ ი. ბრ.) პოლონეთის მიერ—28.1 1921; ავსტრიის—17.2. 1921წ რუმინეთის მიერ—18.2.1921; ლუქსემბურგის— 23.2.1921; ტაიტის მიერ—9.3.1921; ლიბერიის მიერ-28.3 1921; მექსიკის მიერ—14.4.1921; პანამის მიერ—26.8.1921; სიამის მიერ —20.10.1921; ჩეხოსლოვაკიის მიერ—8.4.1921 წელს.

(გაგრძელება იქნება)

მინდია ლაშაური.

ᲨᲝᲗᲐ

(დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე).

გაორკეცებულიყო (ე. ი. ასი პროცენტით გაზრდილიყო) და გვეუბნებიან 25% გაიზარდდაო. მართლაც მცირე რამ გაკეთდა, თუმცა 75% დაკლდა ქერთელ ერს...ზოგი მცირე რაც კეთდება, ვეახარეს კიდეც. აი მაგალითად, თბილისში, რუსთაველის გამზირს, რომელიც აკაშდე მხოლოდ ლენინის ძეგლით თავდებოდა, აწ ეღირსა, წმინდა აბოს წყალობით, თვით რუსთაველის ქანდაკებაც. ვიცით, რომ ნეტარია წმ. აბო.

რუსთველოლოგიის და ისტორიის დარგში, მიუხედავად გათხრების და ზეერელე ტრაბახის, სულ უმნიშნელო, მცირე რამ გაკეთდა. რაკაკვირველია, „ისტორიული“ რომანები არა გვაქვს მხედველობაში, სადაც ბუდან რუსი უნდა აღმოჩნდეს ვმრი. მეტადრე მცირეა ეს გაკეთებული თუ მიეიღეთ მხედველობაში, თითქმის ნახევარ საუკუნის ვადას და შეავადარებთ იმ ნიშს, რომელსაც ქართველი იჩენს განყენებულ მეცნიერებაში და ფიზიკა-მათემატიკაში. პატიოსანი კაცისათვის ეს თავშესაფარია, რადგანაც ამ დარგში სიმოუდე არა თუ დაუშვებელია, არამედ აკრძალულიცაა. აქაც კოლონიალური პოლიციის ონინებია გამოყენებული. ნიჭიერი ფიზიკოსი მაღე დარწმუნდება, რომ რუსეთის სტეპებში ლაბორატორიები უკეთესად მოწყობილია და იქ მეტი გასაქანია. მას საქართველოდან მოაშორებენ იმ ვარაუდით, რომ ის სადმე ციმბირელ გოგოს შეირთავს და ერს მთლად დაეკარგება. თუ შემდეგში მეცნიერს მიეცა ნება ინახულოს საქართველო, ის უკვე თავის მოხსენებას რუსულად გააკეთებს ამ საბაბით, რომ მას რუსი მეცნიერი ახლავს, ან ქართული ტერმინოლოგია უკვე აღარ ეხერხება.

ასე რომ საქართველოში მცირე რამ მაინც კეთდება...

(დასასრული იქნება)

გ. ჯაყელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგედისწერო გადაწყვეტილება

ოცი წელი გვშორავს იმ საბედისწერო მომენტს, როდესაც თავისუფლების და ერთ თვითგამორკვევის ფალანგებმა უღვთოთ გასწორეს თავისუფლებას მიძღვნილი ერებიც და პიროვნებებიც.

ეს მოხდა 1945 წ. გაზაფხულზე, იალტაში, მიღებულ დეკლარაციით, რომელიც სავსეა ერთა თვითგამორკვევის, თავისუფლების და მრავალ მსგავს ფრაზეოლოგიით.

იალტის შეთანხმება შავ აჩრდილად მოეკვლინა რუსეთის მიერ დაპყრობილ ერების მტკიცე გადარწყვეტილებას, რომ უნდა იყვნენ თავისუფალნი და ისე მოაწყონ საკუთარი სახელმწიფოებრივი ცხოვრება, როგორც ეს მათ ისტორიულ ტრადიციებს შეეფერება.

იალტის შეთანხმება სრულიად საწინააღმდეგო გამოვლინება იყო, ყველა იმ აღთქმისა და დეკლარაციების, რომლებსაც დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნები და გაერთიანებული ერების ქარტია თვალისწინებდა და აღუთქვევდა კაცობრიობას.

გამარჯვების კარზე მიმდგარი დასავლეთის ლიდერებმა,—რუზველტისა და ჩერჩილის სათ,—უგულვებელჰყვეს, რომ რუსეთი მოვლენათა წყალობით გახდა მათი მოკავშირე და ის პოტენციალური მტერია თავისუფლების. მათ არა მარტო ლახვარი ჩასცეს რუსეთის მიერ დაპყრობილ ერებს, არამედ, მათ შესაძლებლობა მისცეს სტალინს, რუსეთის იმპერია უფრო გაეფართოვებინა, ელბიდან იაპონიის ზღვამდე და შვიდას მილიონიანი მოსახლეობა რუსულ კომუნისტური ტირანიის უღელ ქვეშ მოექცია.

დასავლეთის **ლიდერების ამ** გაუთვალისწინებლობამ აქცია რუსეთი მსოფლიო საშიშროებად.

ამ საბედისწერო გარდაწყეტილებამ უკუღმა დაატრიალა რუსეთის მიერ დაპყრობილ ერების, და კერძოდ, საქართველოს ბედი, რომელსაც გრძელი და საამაყო წარსული აქვს.

რუზველტი და ჩერჩილი დაიყოლია სტალინმა ადგილნაცვალი ხალხის გადაცემაზე, რომლებმაც სამშობლოს განთავისუფლების დროსა უცხო ქვეყანაში გაშალეს. „ადგილნაცვალეს“ ზედ მიაყოლეს ისეთი პრინციკი, რომლებიც 1917-18 წ. წ. განერიდნენ რუსულ ტირანიას.

სტალინმა ძალიან კარგად იცოდა საით მილტვოდა: ამით სპობდა და ანადგურებდა ანტირუსულ ძალებს და დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების ბუნებრივ მოკავშირეებს. სამწუხაროდ, რუზველტისა და ჩერჩილის პოლიტიკური აღელ სტალინის ზრახვებს ვერ მისწვდა.

ეს შეიქმნა საბედისწერო სამშობლოს თავისუფლებისთვის მიძღვნილ მამულიშვილებისათვის; ეს შეიქმნა მიზეზი იმ უმანკო სისხლის, რომელიც 1945 წლის გაზაფხულზე ზღვებრ დაიღვარა.

ტრაგედიის ერთი სცენის შემთხვევითი მოწმე მეც ვიყავი. 1945 წლის ივნისში, ლენცში. (ავსტრია) კაკაესიური ანტიკომუნისტური პირველი დივიზიის სარდლობამ ბრძანება მიიღო დაწყობილიყვნენ ინგლისელ მარშალ ალექსანდერის შესახვედრად. ცხადია, დივიზია უკვე განიარაღებული იყო. მცირე ხნის შემდეგ, გაძლიერებული მცველებით, დივიზია დასძრეს საბჭოთა უმაღლესი სარდლობის,—კონიევის ბანაკისაკენ..

რამოდენიმე თვის შემდეგ გავიგე, რომ საბჭოთა ზონის გადასვლის დროს მრავალმა მათგანმა თვითმკვლელობითი დაასრულა სიცოცხლე.

შემდეგ ვიმყოფებოდი ზვერინში (ბრიტანული ზონა) და კონიევში (საბჭოთა ზონა).

ზვერინის და ლუდგვისლუსკის ბანაკები, ორივე გაძლიერებული მცველებით, გაჭედილი იყო კაკასიელ მოხალისეებით, რომლებიც მოკავშირეების გამარჯვების შემდეგ, სტალინისათვის უნდა მიეძღვნათ. მათ შორის მე შეეხვდი მრავალ ჩემ თანამემამულეს, რომლებიც ოცდახუთი წლის განმავლობაში აღარ მენახა...ომში სიკვდილს სასწაულით გადარჩენილნი იქ უცდიდნენ მრისხანე განაჩენს.

კონიევკასკენ მიმავალ გზაზე ვერ ნახავდით ვერც ერთ ხეს, ვერც ერთ კედელს, რომელსაც მიკრული არა ჰქონდა ქალალი წარწერით: „დიდმა სტალინმა აპატია თავის ძვირფას ბავშვებს“,

„შშობლიური რუსეთი გიცდით“, „დაუბრუნდით სამშობლოს“ და სხ...

კონიევის დღინარის ხიდი ნათლად ჩანდა ინგლისური ზონიდან; მორთული იყო ყვავილებით, დროშებით, პამფლეტებით და სტალინის სურათებით, სასიამოვნო გამოხედვით და ღიმილით... სამხედრო ორკესტრი ასრულებდა „პატრიოტულ **ჰიმნს; როდესაც** გაძლიერებული მცველებით გარშემორტყმული ადგილნაცვალი ხალხი შედიოდა საბჭოთა ზონაში. თუმცა იმ ატმოსფეროს სამგლოვიარო მარში უფრო მოუხდებოდა.

ამ სადღესასწაულო სურათის უკან მე ვიხილე სახწუხარო სურათიც... როცა ეს ხალხი როგორც საქონელი საყასბოში—კბილებამდე შეიარაღებულმა წოთელ არმიელებმა განადევნეს პოლონეთის მტვრიან და მონოტონურ გზაზე.

მრავალ მსგავს შემთხვევას ჰქონდა ადგილი ზვერინის ბანაკებში.

უფრო გვიან მოწმე ვიყავი, თუ როგორ ცდილობდა საბჭოთა გენერალ გოლიკოვის კომისია და მეხუთე კოლონის ხალხი, რომ მაქსიმალურად გამოექეყნებინათ იალტის ხელშეკრულება.

სამწუხაროდ, მსგავს შემთხვევას ადგილი ჰქონდა თავისუფლების მოყვარულ შეერთებულ შტატებშიც.

დღეს, ამ ტრაგიკული მომენტის ოცი წლის თავზე, მოწიწებით ვიგონებთ ყველა მათ სახელებს, ვინც იალტის შეთანხმების მსხვერპლი გახდა. ეს შემაძრწუნებელი ამბავი ნათელჰყოფს უახლოესი ისტორიის ყოველად სამწუხარო და საზიზღარ ეპიზოდს, რომლის წყალობითაც დასავლეთელებმა თავის ბუნებრივ მოკავშირეებში ნდობა წაიხდინეს. მაგრამ კაკვასიის ხალხში და კერძოდ ქართველებში, თავისუფლებისადმი ლტოლვის ჩახჩობა ბევრად უფრო ძნელი გამოდგა, ვიდრე მათი ოჯახების განადგურება და მათი დახვრეტა...

ყველასათვის ნათელია, რომ იალტის ხელშეკრულების მსხვერპლთაგან სულ მცირემ იხილა მშობლიური მიწა-წყალი. უმრავლესობა მკაცრად დაისაჯა; ან დაუყონებლივ ჩამოახრჩვეს, ან ციმბირის იძულებით სამოუშვების ბანაკებში დალიეს წამებული სული.

მას შემდეგ რუსეთმა, მოტყუებით და მლიქვნელობით არა მარტო დაიპყრო შვიდას მილიონიანი მოსახლეობა, არამედ მას რკინის ფარდაც ჩამოაფარა და მოსწყვიტა თავისუფალ კაცობრიობას. ამ ხნის განმავლობაში მან კვლავ დაიპყრო ახალ-ახალი ერები და დღესაც ახალი მსხვერპლის ძებნაშია და თავის მლიქვნელურ პოლიტიკას არც შესწყვეტავს, ვიდრე პეტრე დიდის ანდერძს—მსოფლიოში გბაბატონებას არ მიაღწევს.

ასეთია იალტის ხელშეკრულების შედეგი, რომლის პასუხისმგებლობას ვერ აიცდენს დიდი ბრიტანეთი და, განსაკუთრებით შეერთებული შტატები.

სამი წლის მანძილზე დიდ ომ გადახდილი დიდი ბრიტანეთი იმდენად დაქანცული და მოტეხილი იყო, რომ მას აღარ შეეძლო მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა იალტაში. მაგრამ შეერთებულ შტატებს, თავისი განუსაზღვრელი ეკონომიური წყაროებით და უზარმაზარი სამხედრო შესაძლებლობით, შეეძლო სტალინის კარნახის თავიდან აცილება.

ეხლა საკითხავია, ამ მაგალითების, ამ გაკვეთილების და ამგვარი განსჯის შემდეგ როგორი უნდა იყოს ჩვენი ქვეყნების პოზიცია? უნდა ჯერარ ვიცვათ შეერთებული შტატები და განუდგეთ მას?

მკითხველი დამეთანხმება რომ კრიტიკა და ბრალდების წაყენება ბევრად უფრო ადვილი საქმეა, ვიდრე მომავალის განჭვრეტა და მოქმედება.

საქმის შესწავლა გვაჰვენებს, რომ **მოხალისეთა** განწირვა შედეგია არა სიბოროტის, არამედ დასავლეთის ლიდერების მიამტური პატიოსნების. მათ ღრმად სწამდათ რუსეთის გულწრფელობა. რუზველტს და ჩერჩილს მცირედი წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ საბჭოთის მონურ ცხოვრებაზე და ისენი საბჭოთა ყალბი პროპაგანდით იცნობდნენ იქაურობას.

განა უდიდესმა ამერიკელმა არ სთქვა თავის წიგნში, რომ საბჭოელები მოტყუების ოსტატები არიანო?

რომელ ჩვენთაგანს არ ახსოვს თუ როგორ გააბრიყვეს 1933 წ. გონიერი ფრანგი პოლიტიკოსი ედუარდ ერიო? ამ დროს ხომ უკრაინაში შიმშილი მძვინვარებდა, რამაც მილიონები იმსხვერპლა? ერიომ და მისმა მეუღლემ კი „ბედნიერი“ ხალხი დაინახეს! როდესაც ერიო ენენეკის ერთი ლოგაში საბჭოთა კავშირს შეეხო, მან განაცხადა: უკრაინა არის ყველაზე უფრო აღმამავალი და აყვავებული ქვეყანაო.

იალტის დროს რუზველტი მძიმე ავადმყოფი იყო. მას მხოლოდ ორი თვის სიცოცხლე ჰქონდა, და ამის გამოც, მისი შორსმჭვრეტელობა იქნებოდა მოდუნებული. აკი თვით გამჭრიახი ჩერჩილიც აღიარებს, რომ მას სჯეროდა რუსების გულწრფელობა და იარაღის მეგმბრობა. გენ. აიზენჰაუერმაც ხომ საჯაროდ აღიარა, რომ ისიც ფაქტებმა დაარწმუნა საბჭოელების გულწრფელობაში... ამგვარად ამ ურჩხულმა, თავისი გაიძვერობით, ყველა ერთად შეიყვანა შეცდომაში...

ამერიკას რომ ნათელი წარმოდგენა ჰქონოდა საბჭოთის შინაურ ცხოვრებაზე და კრემლის ბატონების ნამდვილი განზრახვები ცოდნოდა, ეჭვის შეტანა არ შეიძლება, რომ ის არც ტყვეებს გადასცემდა და არც შვიდას მილიონიან მოსახლეობას მიუგდებდა რუსთა საჯიჯგნად. ამერიკელები ყოველთვის მზად არიან გაჭირვებულს უშველონ და დაეხმარნენ: მარშალის გეგმა ევროპისათვის, ჩამორჩენილი ქვეყნების ეკონომიური და ტექნიკური დახმარება, კომუნისტების თავდასხმის დროს კორეის იარაღით დაცვა, ლებანონი, კონგო, ვიეტნამი და სხ... განა ამერიკის კეთილი სურვილის გამომჟღავნება არ არის? ჩვენ მოწმენი ვართ, რომ ამერიკა ქვეყნიერების ყოველ კუთხეს იცავს საბჭოთა იმპერიალიზმის უღმერთო ტირანისაგან.

იალტაში ამერიკელები საკუთარი პატიოსნების მსხვერპლები გახდნენ. მაღალ იდეალებს მიძღვნილ, მგრძნობიარე და კეთილ ამერიკელს, როგორ შეეძლო წარმოედგინა, რომ კრემლი ბარბაროსობის საბუდარია! ჩვენ მწარედ განვიცდით ამერიკული პატიოსნების შედეგებს... მაგრამ ისიც ვიცით, რომ ჩვენი სამშობლოს განთავისუფლება ამ უდიდესი ძალის გარეშე არ მოხერხდება.

ერების განთავისუფლებისათვის არა კმარა მხოლოდ მჭრელი ხმალი, ამას წინ უნდა უძღოდეს მაღალი ზნეობრივი ძალა და რწმენა.

ზნეობით სავსე ქართველი ერის განმთავისუფლებელი ბრძოლების ბუნებრივ მოკავშირედ მიგვიჩნია; იალტაში შემცდარი, მაღალი ზნეობის და თავისუფლებისადმი მიძღვნილი ამერიკელი ხალხი.

ა. ჩხენკელი.

ორიანის საპასუხოდ.

ჩემს წერილს „სკანდინავიის სოციალიზმის მაგალითი“ (იხ. „ქართული აზრის“ №67-68), ამავე ნომერში მოჰყვა ორიანის შინაარსიანად დაწერილი სტატია. თუმცა ამ სტატიის მთავარი დებულებანი ჩვენთვის სავსებით მისაღებია; ჩემს წერილშიც, თითქმის, იგივე შეხედულება მაქვს გამოთქმული და არ ეწინააღმდეგება ორიანის აზრებს: მატერიალურ დოვლათის შექმნისათვის, კლასთა შორის ჰარმონიული თანამშრომლობა, კაპიტალიზმის და სოციალიზმის, კერძო საკუთრების საფუძველზე, თანაარსებობა და ლოიალური ურთიერთობა, საერთო ინტერესების შეხამებით, კანონმდებლობით, სოციალური რეფორმების გატარება, ნიეთიერი კეთილდღეობის განზოგადება, სადაც საზოგადოებრივი ყველა ფენა თანაბრად სარგებლობს.

ეს ყველაფერი განხორციელდა **არა უხეში** რევოლუციური მეთოდით, არამედ მშვიდობიანი დემოკატიული გზით, და მიუთითებდი სკანდინავიის სოციალიზმის მაგალითზე, რა თქმა უნდა, ხრუშჩოვის იქ მოგზაურობასთან დაკავშირებით. მხოლოდ ზოგი რამ, ორიანის სტატიაში, მაინც, მთლად მართებული არ უნდა იყვეს.

მართალია, მარქსი და ენგელსი, თავდაპირველად რევოლუციონერები იყვნენ. ობიექტურ პირობებთან შეფარდებით, როდესაც საერთაშორისო პროლეტარიატის მოძრაობა საკმაოდ ძლიერი იქნებოდა, მხოლოდ ამის შემდეგ, კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის პერიოდში, რევოლუციური ძალების გამოყენებას, დროებით, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას, საჭიროდ სთვლიდნენ. მტრულად განწყობილ კლასების დასაძლევად, რაც მათ აშკარად გამოსთქვეს „კომუნისტურ მანიფესტში“. ეს თეორიული კონცეპცია იყო. რაც პრაქტიკაში, მისი განხორციელება, ერთგვარ სინდლეებთან იყო დაკავშირებული.

შემდეგ ეს რევოლუციური მეთოდი თვით უარყვეს, რადგან შვიდათა კლასის ორგანიზაციული დარაზმულობა, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური მდგომარეობის შეგნება ამდენად გაიზარდა, რომ საარჩევნო უფლების მოპოვებით, თამამად შეეძლოთ, სოც. დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით, ლეგალური საშუალებით, დემოკრატიული საყოველთაო არჩევნებით, პოლიტიკურ ცხოვრებაში სათანადო გავლენით ესარგებლად, საკანონმდებლო ორგანოებში თავანთი წარმომადგენლები გაეგზავნათ, მათი უფლებრივ და

ტელობა იქნებოდა მოდუნებული. აკი თვით გამჭრიახი ჩერჩილიც აღიარებს, რომ მას სჯეროდა რუსების გულწრფელობა და იარაღის მეგმბრობა. გენ. აიზენჰაუერმაც ხომ საჯაროდ აღიარა, რომ ისიც ფაქტებმა დაარწმუნა საბჭოელების გულწრფელობაში... ამგვარად ამ ურჩხულმა, თავისი გაიძვერობით, ყველა ერთად შეიყვანა შეცდომაში...

ამერიკას რომ ნათელი წარმოდგენა ჰქონოდა საბჭოთის შინაურ ცხოვრებაზე და კრემლის ბატონების ნამდვილი განზრახვები ცოდნოდა, ეჭვის შეტანა არ შეიძლება, რომ ის არც ტყვეებს გადასცემდა და არც შვიდას მილიონიან მოსახლეობას მიუგდებდა რუსთა საჯიჯგნად. ამერიკელები ყოველთვის მზად არიან გაჭირვებულს უშველონ და დაეხმარნენ: მარშალის გეგმა ევროპისათვის, ჩამორჩენილი ქვეყნების ეკონომიური და ტექნიკური დახმარება, კომუნისტების თავდასხმის დროს კორეის იარაღით დაცვა, ლებანონი, კონგო, ვიეტნამი და სხ... განა ამერიკის კეთილი სურვილის გამომჟღავნება არ არის? ჩვენ მოწმენი ვართ, რომ ამერიკა ქვეყნიერების ყოველ კუთხეს იცავს საბჭოთა იმპერიალიზმის უღმერთო ტირანისაგან.

იალტაში ამერიკელები საკუთარი პატიოსნების მსხვერპლები გახდნენ. მაღალ იდეალებს მიძღვნილ, მგრძნობიარე და კეთილ ამერიკელს, როგორ შეეძლო წარმოედგინა, რომ კრემლი ბარბაროსობის საბუდარია! ჩვენ მწარედ განვიცდით ამერიკული პატიოსნების შედეგებს... მაგრამ ისიც ვიცით, რომ ჩვენი სამშობლოს განთავისუფლება ამ უდიდესი ძალის გარეშე არ მოხერხდება.

ერების განთავისუფლებისათვის არა კმარა მხოლოდ მჭრელი ხმალი, ამას წინ უნდა უძღოდეს მაღალი ზნეობრივი ძალა და რწმენა.

ზნეობით სავსე ქართველი ერის განმთავისუფლებელი ბრძოლების ბუნებრივ მოკავშირედ მიგვიჩნია; იალტაში შემცდარი, მაღალი ზნეობის და თავისუფლებისადმი მიძღვნილი ამერიკელი ხალხი.

(დასასრული იქნება).

ს. ჯორაქაძე.

პრაქტიკამ მათი მოქმედება სავსებით გაამართალა. სოციალისტური პარტიები მასიური გახდა. დემოკრატიული გზით სოციალიზმში გადასვლის იდეამ თანდათან ნიადაგი გაიდგა. ამ მიმართულებით მეორე ინტერნაციონალი თავიდანვე წავიდა, ამას გამოეთქმა რუსული სოციალიზმი, ბოლშევიკების სახით. უკაპიტალიზმო ქვეყანაში, სადაც დემოკრატია სუსტად იყო განვითარებული, ძალადობით და ტერორით „პროლეტარიატის დიქტატურა“ დამყარდა, რაც სინანდვილეში არა მუშათა კლასის, არამედ ბოლშევიკური პარტიის დიქტატურად შეიცვალა.

დემოკატიული სოციალიზმის თეორიული საფუძვლები მარქს-ენგელსმა, კაუცკიმ და სხ. ჩამოაყალიბეს, ხოლო რუსეთში პლეხანოვი და საქართველოში ნოე ჟორდანია ითვლებიდნენ დემოკრატიულ სოციალიზმის დამცველებად. იმდენად, რამდენათაც მარქსიზმი ვულგერდებოდა, ის პოლიტიკურ პარტიების ინსტიტუტის ფორმას ღებულობდა, ლეგალური მუშაობის პირობებში, მათ აღარ სჭირდებოდათ რევოლუციური მეთოდების გამოყენება, არსებულ კაპიტალისტურ მწყობრის დასამხობად და ეს იყო სწორედ ერთი მთავარი მიზეზი, რომ რევოლუციური სულისკვეთება თანდათან ლეგენდულობდა და ევოლუციური შეხედულებანი გზას იკაფავდა.

1870 წლიდან დასავლეთ ევროპას ომის საშინელებანი არ განუცდია. არც ეკონომიური კრიზისებს, არც რევოლუციის ქარტეხილებს ადგილი არ ჰქონია. ამ ხნის განმავლობაში მშვიდობიან ცხოვრებას თან მოჰყვა ინდუსტრიის ინტენსიური განვითარება, სასაქონლო პროდუქციის სწრაფი ზრდა; გაიშალა დიდის მასშტაბით საერთაშორისო აღება- მიმცემლობა, ამას თავისთავად მოჰყვა მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება. 1850-1900 წლამდის შრომის ხელფასი თითქმის გაორკეცდა. ძველი რევოლუციური სტრატეგია, უახლოეს დროში აუცილებელ კატასტროფაზე დაშენებული, დროგადასულად და საჭიროდ აღარ ჩანდა. დემოკატიის განვითარებამ შესაძლებლობა შექმნა, პროგრესიულად, მშვიდობიანი გზით კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის რწმენა. ამ შესაძლებლობას ამტკიცებდა და ხელს უწყობდა სოციალისტური პარტიების ძლიერი ორგანიზაციების არსებობა, მუშათა კლასის პროფკავშირების დარაზმულობა. სოციალისტურ პერიოდულ გამოცემათა გამრავლება და ფართოდ გავრცელება, პარლამენტში სოციალისტური დეპუტატების მატება, შრომის კანონმდებლობის გატარება.

ჯერ კიდევ ადრე, ენგელსმა, თავის უკანასკნელ ნაწერებში, განსაკუთრებით თავის ანდერძში, რევოლუციურ მეთოდში, აჯანყებით ხელისუფლების დაპყრობაში ეჭვი შეიტანა. სოციალისტების ოპორტუნისტურმა, ახალ ეპრობებთან შეგუებულმა პოლიტიკამ არა-რევოლუციური, არამედ რეფორმისტურ გზით წარმართა საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობა. 1900 წ. სოციალისტი მილერანი ბურჟუაზიულ მთავრობაშიც კი შევიდა რამაც სოციალისტურ პარტიებში ერთგვარი უკმაყოფილება გამოიწვია. მართალია, მილერანს ეს „მინისტერლილ“ ხმი“, მიუხედავად იმისა, რომ გაკიცხულ იქმნა, სოციალ-დემოკრატია, მუშათა კლასის ალმავლობის გამო, იძულებული იყო ნება მიეცათ სოციალისტ დეპუტატებს ქვეყნის მართვა-გამგებლობის პასუხისმგებლობა გაეწიოლებინათ და სხვა დემოკატიულ პარტიებთან ერთად, მთავრობაში შესულიყვნენ. თვით ისეთი მემარცხენე, როგორიც იყო როზა ლუქსემბურგი, თავის თეორიულ ზრომშიი—„რეფორმა თუ რევოლუცია?“ დასაშვებად მიაჩნდა ბურჟუაზიულ მთავრობაში მონაწილეობის მიღება. ამას ის აუცილებელ საჭიროთაც სთვლიდა სოციალურ რეფორმების გატარებისათვის, რადგან პროლეტარიატის მიერ მთლიანად ხელისუფლების მოპოვება შორეულ წარსულისათვის ჰქონდა წარმოდგენილი. მანამდის კი მთავრობაში მონაწილეობა მუშათა კლასის ინტერესების დასაცავად, სასარგებლოდ ეჩვენებოდა.

(დასასრული იქნება).

ს. ჯორაქაძე.

საქართველო თარიღებში.

(გადაეცა რადიო „თავისუფლებას“ მიერ.

ხელთა გვაქვს წიგნი “საქართველო თარიღებში“, რომელიც გამოცემულია საქარველოს კომპარტიის ცეკას მიერ 1961 წელს. ამ წიგნში აღრიცხულია საქართველოს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული მოვლენების ქრონიკა. უნდა ითქვას, რომ ყველა ფაქტი ამ წიგნში მეტად გულდასმითა და მეცნიერების დღევანდელი დონის მიხედვითაა აღწერილი; გამონაკლის შეადგენს მხოლოდ ის ფაქტები, რომლებიც ეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას. ამ პერიოდის ფაქტები აღწერილია ისე, რომგორც ეს სურს „ცენტრის“ პარტხელმძღვანელობას, მოცემულ პოლიტიკურ მომენტში. ე. ი. ფაქტები შეგნებულადაა გაყალბებული.

სხვა მრავალ გაყალბებულ ფაქტებს შორის დღეს შევჩერდებით საქართველოს უახლოესი ისტორიის ამბებზე.. მაგალითად, ამ წიგნის 23-მე გვერდზე კეითხულობთ: „1918 წლის 26 მაისი. საქართველოს რესპუბლიკის „დამოუკიდებლობის“ გამოცხადება მენშევიკური მთავრობის მეთაურობით“.

უნდა აკინშნოს, რომ სიტყვა „დამოუკიდებელი“ ბრჭყალებშია ჩასმული, როცა „მენშევიკური მთავრობა“ წინა პლანზეა წამოწეული! თუ რა მიზანს ემსახურება ამგვარი „შელამაზება“, ამას იქვე მოყვანილი სხვა ფაქტების დამახინჯებული აღწერა ნათელყოფს.

„1918 წლის შემოდგომა,—სწერია იმავე წიგნში,—„გერმანელ ოკუპანტების გაქცევა საქართველოდან,“ ხოლო კოტა ამის ქვეშდ სწერია: 1918 წლის დეკემბერი. ინგლისის საოკუპაციო ჯარის გადმოსხმა ბათუმში: საქართველოს ოკუპაცია ინგლისელი ოკუპანტების მიერ“. მაგრამ ფაქტების ამგვარი ყალბი გადმოცემა თავისთავად ღაღადებს თუ აღენიშნავთ 1921 წლის 2რ თებერვლის ამბების გაჩხარტებას ამ წიგნის მიხედვით. „1921 წლის 2ი თებერვალი.— სწერია ამ წიგნში,—მენშევიკური მთავრობის დამხობა. აჯანყებულების შესვლა საქართველოს დედაქალაქში— თბილისში—წითელ არმიასთან ერთად. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში.“

ყოველი ზემომოყვანილი ფაქტი ამ წიგნში შეგნებულად ყალბადაა აღნიშნული და განმარტებული. ჯერ ერთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომლის დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1918 წლის 26 მაისს, იგი მართლაც **დამოუკიდებელი, სუვერენული** სახელმწიფო. ეს ასე რომ არ ყოფილიყო განა ლენინი, საბჭოთა რუსეთის მთავრობის თავმჯდომარე, ეელს მოაწერდა საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას? მართალია საქართველოში იყო გერმანიის ჯარი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ გერმანიის ჯარი არასოდეს არ ჩარეულა საქთველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაურ საქმეებში. პირიქით, გერმანელმა ჯარისკაცებმა, როცა საქართველოში თურქეთი შემოიჭრა, ქართველებთან ერთად წინ აღუდგნენ გერმანიის მაშინდელ მოკავშირე თურქეთს და ამგვარად დახმარება გაუწიეს ახლად ფეხზე წამომდგარ საქართველოს, შეენარჩუნებინა თავისი სახელმწიფოებრივი მთლიანობა. გერმანიის დამარცხების შემდეგ, გერმანელი ჯარისკაცები კი არ „გაქცეულან“ საქართველოდან, არამედ დატოვეს საქართველო. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გერმანელები საქართველოდან გაეცალეს საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა ფოთამდე და მათ ფოთის ნავთსადგურში დიდი პატივისცემით გამოემშვიდობნენ. თვით ინგლისელებს კი არასოდეს „საქართველოს ოკუპაცია“ არ მოუხდენიათ, როგორც ეს ამ წიგნში არის აღნიშნული. ინგლისელები პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, სპარსეთიდან, აზერბეიჯანზე გავლით, საქართველოს მთავრთობასთან მოლაპარაკების შემდეგ, შემოვიდნენ საქართველოში, რა-მოდენიმე ბატალიონის შემადგენლობით. ინგლისის ჯარი საერთოდ არასოდეს არ ჩარეულა საქართველოს არც საშინაო და არც საგარეო საქეებში. შემდეგ ინგლისელები, საქართველოს მთავრობის თხოვნითა და დასტურით, დაბანაკდნენ ბათუმში, რომ მათი იქ ყოფნით თავიდან აეცილებინა თურქეთის შესაძლებელი შემოტეკა. ინგლისელებს რომ საქართველოს ოკუპაცია არ მოუხდენიათ 1918 წლის შემოდგომაზე, ამის ყველაზე ნათელი დამადასტურებელი ფაქტი შემდეგია: პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ, საქართველოში მყოფ ინგლისის ჯარის სარდლობამ მიინდომა საქართველოში მყოფ გერმანელების ტყვედ აყვანა. საქართველოს მთავრობამ თავისი მფარველობის ქვეშ გამოაცხადა გერმანელები და როგორც მეგობრები გააცილა ფოთის ნავთსადგურამდე. განა შეუძლიან

სასიამოვნო მოვლენა

გაზეთს. რომელიც ნიუ-იორკში გამოდის და რომელსაც ეწოდება **„Getting Out of Vietnam“**, ჰქონია წიგნების მიმოხილვის სპეციალური დამატება.

1965 წ. აგისტოს 5-ს, გაურჩევიათ პროფ. შ. ამირანაშვილის „ქართული ხელოვნების ისტორია“, რომლისთვისაც „სპეციალისტ“ მიმოხილველს დაურქმევია „რუსეთის მუზეუმებში“.

თვით სახელწოდება მოწმობს, თუ აღნიშნული გაზეთის მიმოხილველი როგორი დარღვანდმოებით და უდარდელობით (თუ უვიცობით), შეხებია საქართველოს საუნჯეს.

ჩვენი თანამემამულის, ბატონ თეიმურაზ ბაგრატიონის მეუღლე. ირინემ, არ დაყოვნა და თავისი განცვიფრება მისწერა რედაქციას.

მართალია აღნიშნული გაზეთის რედაქციამ ქალბატონი ირინეს წერილი შეამოკლა, მაგრამ მაინც გამოაქვეყნა. აქ ჩვენ ეკითხულობთ:

გამომცემლებს:

„რუსეთის მუზეიმების“ სახელწოდებით გამოქვეყნებულ განხილვაში, სადაც ხსენებულია შ. ამირანაშვილის „საშუალო საუკუნეების ქართული ხელოვნების ნიმუშები რუსეთში“ მკითხველზე უძლიერეს შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს ქართული ხელოვნების ნიმუშები რუსული ხელოვნებაა და რუსული ტრადიციული წარმოშობის.

ქართული ხელოვნება არ შეიძლება განიხილოს როგორც რუსული მემკვიდრეობა, რადგან 19-ტე საუკუნემდე საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო და ქართული ჯიში, ენა და კულტურა აფსოლუტურად განსხვავდება რუსულისაგან.

ქართულსა და რუსულ ხელოვნებას შორის თუ კი საერთოდ რაიმე მსგავსება არსებობს, ეს

დაპყრობილმა სახელმწიფომ ამგვარი წინააღმდეგობა გაუწიოს „ოკუპანტებს“?

მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, თუ რატომ უუოდებს ეს წიგნი იმ დროს საქართველოში მყოფ ინგლისელებსა და გერმანელებს „ოკუპანტებს“, „იმპერიალისტებს“! ამით საქართველოს პარტხელმძღვანელოსს სურს „ცენტრის“ პარტხელმძღვანელობის გულის მოგება და რაც მთავარია, მიჩქმალოს ნამდვილი ოკუპანტების მოქმედება, რომლებმაც მართლა მო ახდინეს მთელი საქართველოს ოკუპაცია. საქართველოს ოკუპაციის მამამთავარი თვით ლენინი იყო, რომელმაც დაარღვია მის მიერ 1920 წლის წ მაისს დადებული ხელშეკრულება საქართველოსთან და წითელი არმია შეესია საქართველოს, მოუხდავათ იმისა, რომ აღნიშნული ხელშეკრულების მეორე მუხლში ნათქვამია: „რუსეთი ვალდებულებას იღებს თავის თავზე, უარი თქვას საქართველოს შინაურ საქმეებში ყოველგვარ ჩარევაზეო“. ამ წიგნში ეწოლა კი აღნიშნულია: „1921 წლის 25 თებერვალი. მენშევიკური მთავრობის დამხობა. აჯანყებულების შესვლა საქართველოდედაქალაქ— თბილისში წითელ არმიასთან ერთად“. ეს არის ლენინის შეპირება, რომ ის არ ჩაერეოდა საქართველოს შინაურ საქმეებში?

მაგრამ აქ პარტხელმძღვანელობა თავს იმით იმარილებს, თითქოს.„ მთელი საქართველოს ხალხი“ აჯანყდა „მენშევიკური“ მთავრობის წინააღმდეგ და ჩვენ მხოლოდ აჯანყებულ ხალხს დავეხმარეთო! პარტხელმძღვანელობის ამგვარი მტკიცებაც უსუსურია: თუ „მთელი ქართველი ხალხი აჯანყდა საქართველოს მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ“, მაშინ ვინ ებრძოდა, თითქმის ორი თვის განმავლობაში, მრავალრიცხოვან წითელ არმიას, რომელიც ყოველი მხრიდან უამრავი ძალებით თავს დაესხა საქართველოს?

არა, ეს ამბები პარტხელმძღვანელობამაც კარგად იცის, მაგრამ ის შეეხებულად ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს ქართველი ახალგაზრდობა, რომელიც ყველა ამ ამბების შესახებ მხოლოდ იმ ყალბ ლიტერატურას იცნობს, რომელსაც კომპარტია აქვეყნებს. ამიტომაა, რომ წიგნი—„საქართველო თარიღებში“ ცდილობს მკითხველს ინგლისელები და გერმანელები, რომლებიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, მთავრობის თანხმობით საქართველოში იყვნენ, მოიჩენოს „ოკუპანტებად“, ხოლო საქართველოს ნამდვილი ოკუპანტების შემოჭრა დამოუკიდებელი საქართველოს საზღვრებში და საქართველოს დაპყრობა—ამ წიგნის მკითხველებს აუხსნან „ძმურ დახმარებად“! ასე უნდა აიწეროს ისტორიული ფაქტები? ანდა განა სჯერა ამ წიგნის ავტორებს რომ საქართველოში, სადაც ოციან წლების დროს მოხდარი ამბები ხალხში ცოცხლადაა შენახული, ვინმე დაიჯერებს ამგვარ სიყალბეს?

მხოლოდ იმდენად, რამდენათაც ორივე ვითარდებოდა ბიზანტიური გავლენით. პირდაპირი მნიშვნელობით კი, ქართულ ხელოვნებას იმდენი აქვს საერთო რუსულთან, რამდენიც რუსულ ხელოვნებას რაენას მოზაიკებთან.

თავისი წიგნის წინასიტყვაობაში, შ. ამირანაშვილი მკაფიოდ გამოსახავს ბიზანტიურ-რუსულ და ქართულ ხელოვნებათა შორის განსხვავებას. ის აღნიშნავს, რომ ბიზანტიურ და ქართულ ხელოვნებაში ქრისტიანულ-რელიგიური საგნები მეექვსე საუკუნის დასასრულს გამოკვლნდა, როდესაც რუსეთში ამას ადგილი მხოლოდ 10-11 ს. ჰქონდაო.

შეიძლება თქვენი განმხილველი შეცდომაში შეიყვანა წიგნის ინგლისურმა სახელწოდებამ: „საშუალო საუკუნეების ქართული ხელოვნების ნიმუშები რუსეთისა“, რაც ყალბსა და სამწუხარო სახელწოდებას წარმოადგენს. ფრანგული გამოცემა ამ წიგნის ზედმიწევნით სწორ სახელწოდებას ხმარობს: **„Les Emaux de Georgie“**

ირინე ბაგრატიონი.“

„ქართული აზრის“ რედაქცია და, არ შეეცდებით თუ ვიტყვით, მასთან ერთად მთელი ქართული საზოგადოება, ულრმეს მადლობას უცხადებს ქალბატონ ირინეს ამ გამოსარჩლებისათვის.

რამდენად სწორედ იქნებოდა ქართული საკითხი უცხოელების წინაშე წარდგენილი, რომ ყოველი ქართველი (მთელი თუ ნაკლულოვანი), ვისაც ამის უნარი შესწევს, ამგვარ გამოვლინებას ყურადღებას მიაქცევდეს და მიმმხილველებს, თუ რედაქციებს სწორ მმართულებას მისცემდეს!?

მეგობარი

შთამაგონებელი

თქმულება.

იმ ქამს ქვეყანა კეთილად იშვებოდა,მაგრამ მოსაზღვრე მხარეში ყაჩაღებმა ირინეს თავი. აბჯარ ასხმულნი ეცემოდნენ ქართველებს და ზოგჯერ შორეულ სოფლებაც ადებდნენ ხარკს. იმ მხარის ერისთავი ვეღარ უძლებდა მათ.

მეფემ გაგზავნა სარდალი დიდ ძალი ჯარით, რათა ბოლო მოეღო ცარცვა-გლეჯისათვის. ყაჩაღები შეიხიზნნენ მოსაზღვრე მთასა და მთის კალთებზე სწარმოებდა ომი. ანაზდათ სარდალს კარაგს მოადგა შიკრაკი: მთავრობა აცნობებდა სარდალს, აგარაკანმა მტერმა იხელთა ფონ და შემოესია ქვეყანასაო. ქუდზე კაცი იყო დაბარებული და ვიდრე ჯარი მოეწყობოდა სარდალს ეეალებოდა შეელბოს მტერსა.

სარდალმა იხმნა სპასპეტთა ბჭობა რათა იწყოს ორი ომი.

ბჭობის დროს მოახსენეს სარდალსა: მოციქულნი ჩამოვიდნენ მთიდან სარდლის ნახვა გვეშურებაო. „მოიყვანეთ აქაო“, უბრძანა სარდალმა. მოციქულთა უფროსმა სთქვა: „სარდალო, აგარაკანთ სისხლის მტერი მოადგა ქვეყანას, დაიგიწყე ჩვენი ბოროტება და გამოგვიყენე ომშიო“.

ჩაფიქრდა სარდალი და გადახედა რუკას.

„მე წავიწევ მტერთან და მერე ისევ ნელა უკან დავიხევ, ჩემ ზურგში მიტოვებული რაზმი ჰაერში სროლას ასტეხავს, რათა მტერს ეგონოს გეიმბეთ, ნიშანზე კი თქვენ მაგრად შეუტევთ მტერს ფერდებში. ვინც ომში თავს ისახელებს, დაჯილდოებული იქნება, როგორც სხვა ჩემი ჯარისკაცი. გამარჯვების შემდეგ ნახევარი ნადაკი თქვენი იქნებაო“

წავიდნენ მოციქულნი. ადგა თეთრ წვერა გენერალი და სთქვა: „სარდალო, ვტოვებ კრებას და მეფეს მოვახსენებ შენს ღალატსო“.

მეორეს სთქვა: „სიბერის ჟამს, სასირცხეილოდ, ყაჩაღების მოკავშირედ გამხადეო...“

რაზმებში ყაჩაღებისათვის უკვე საღრჩობელებს ამზადებდნენ და უკმაყოფილება დიდი იყო.

სარდალმა სთქვა: „ღვთის და სინდისის წინაშე არ მეპატიება თუ ამ შემთხვევაზე უარი ვთქვა, რათა გადავარჩინო ჩემი ქვეყანა. თქვენ კარგად იცით მტერმი ჩვენი საშინაო ომით ისარგებლა, თორე როგორ გაგვიბედავდაო. მოულოდნელმა მტერს დაანბეგს და შენ გენერალო, კრებას რომ სტოვებდი, ბრძოლის ველს ხომ არ დატოვებ და მტერს ზურგზე ეცემი მის დასანგრევადო“.

სარდალმა ომი მოიგო.

მეფესთან მივიდნენ და აუწსნეს, რომ ყაჩაღების გამოყენება სრულებით არ იყო საჭირო გამარჯვებისათვის. სარდალი წახდა ამიტომ მიმართა ყაჩაღებს საშველადო. ბევრი დაჯილდოვებული ყაჩაღი სარდალმა დაიტოვა თავის ჯარში. ყაჩაღებს საღრჩობელის მაგიერ ჯილდო მიეცა, ზოგ მათგანმა სოფლებში ვაჭრობა გააჩაღო, და ბევრი სხვა უთხრეს მეფეს.

ქვეყნის საბედნიეროდ იმ ქამს მეფე იყო გონიერი და ბრძენი. მან დინჯად მოისმინა

ქართული გალეტი თურქეთში

28 თებერვალში ჩამოვიდნენ ქართველები თურქეთში. ისტამბულ, ანკარა და ანკარაში დარჩნენ სამი კვირის მაგიერ ექვსი კვირა. საქართველოში გაბრუნდნენ 10 აპრილში.

აი რასა სწერდნენ თურქული გაზეთები მათ შესახებ:

„მხატვრის კალმით დახატული ხოხობის მსგავსი ტანი; ერთი მეორეზე ლამაზი, მაგარი, ფერადოვანი, ჰარმონიული... წარმოურდენლად დინამიური არტისტები...“

ქალები, გემრიელ სიზმარში მოლივლივენი, მაგრამ მათი სიარული სიარულს არა ჰგავს... ცეკვაში სიზმარი და სინამდვილე ჩახუტებულია. ცეკვები საქართველოს წაფიზოადგენს და ბალეტს უახლოვდება. ეს ძნელი საქმე, კულტურით, ჭკვით, დისციპლინით, ტექნიკით და ღრმა ჩანფიქრით არის განხელოვნებული... მათი ტანსაცმელი... ეს ცალკე ხელოვნებაა.

ვაეკი მოძრაობის ქარიშხლებია, რომლებიც იტაცებენ მაყურებლის გონებას და თვალს ზღაპრული ფერიების არეში გადაჰყავს. არა ბუნებრივი, თვალწარმტაცი ლივლივი, ხტუნვა, ტრიალი...

ერთობ: სიცქვიტე, თავაზიანობა, სინარნარე და მოძრაობა და ქართული ტრადიცია კარგად არის შეყვანილი თანამედროვე ქორეოგრაფიაში. ეს არის ხელოვნური ქეიფი...

ქართველები მრავლად წავიდნენ სახახაოდ და თანამემამულეებთან სალაპარაკოდ. ზოგი კულისებში გამოელაპარაკა, ზოგი გზაში, ზოგმაც სასტუმროში ინახულა. დამეგობრდნენ... უფრო მეტმა კი ვერ გაბედა მიახლოვება... მრავალმა გადაწყვიტა ქართული წერა-კითხვის სწავლა, ბევრს აღუთქვა საქართველოში მოგზაურობის სურვილი... ამდენად მოახიბვლელი და თვალწარმტაცი იყო ქართული ბალეტი.

ა. მელაშვილი

„მამულის სიყვარული ემსგავსება ნაზ კაკლის ხეს, რომლისთვისაც საჭიროა შესაფერი ნიადაგი, შეზავებული ჰაერი, რომელიც ვერ იმშვენებს დამჩაგვრულ ხეებს, რომელიც დიდ ხანს იზრდება...ეროვნულ პატრიოტულ გრძნობასაც დიდი ხნის ზრუნვა, მოვლა, ყურის გდება და ერთგულება ესაჭიროება. იგი არის ნაზი, როგორც კაკლის ხე, ღრმა, როგორც მისი ფესვები, მაღალი, როგორც მისი წვერი, მის ტოტებსავით განიერი და მის კოკრებსავით ნაყოფფიერი.

ჩვენში მამულის სიყვარული სხვა თვისებაა, სხვა გვარის ხასიათისაა: იგი იპყრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას. ამ გრძნობაში თავის თავის მეტი არაფერი ურევია რა. ვისიმე სიძულვილი, ვისიმე დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ არის. ჩვენს მამულისშვილეს წარმატება ჩვენის ეროვნებისა და ვინაობისა, რომელთა გარეშე არ შეუძლიან სიცოცხლე და ადამიანური არსებობა...როგორც წარსულში ჩვენი ერი იბრძოდა არა სხვა ხალხების დამონავებისათვის, არამედ თავისი საკუთარი დამოუკიდებლობის დაცვისათვის, ისე ეხლა ჩვენი მამულისშვილები მოღვაწეობენ არა იმ განზრახვით, რომ სხვანი დავთრგუნოთ და მათის დამცირებით ვისიამოვნოთ, არამედ იმისათვის, რომ ჩვენს ერსაც გაუკელთ გზა განვითარებისა, ზნეობის ამაღლებისა და კეთილდღეობისა“.

„ევერია“ 1982 წ. №1.

G. A. Press
114 St. Mark's Place,
Tel.: 473 - 0240
New York 10009, N. Y.

საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს
შემდეგი მისამართით:
Mr. G. Djakeli
535 E. 78 Street,
New York, N. Y. 10021
ამავე მისამართით უნდა გამოიგზავნოს შემოწირულებები.

EDITOR IN CHIEF: M. Sindikeli.
EDITORIAL BOARD: G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia, Dr G. Gabliani.